

ვინც სამსახური დაკარგა, ან უხედფასო შვებულებაშია, ფინანსურ დახმარებას მიიღებს



დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხედფასო შვებულებაში, ექვსი თვის განმავლობაში, ჯამში 1 200 ლარს მიიღებენ.

„დღეის მდგომარეობით, ეს სქემა, თითოეულ ჩვენს მოქალაქეზე ბრუნვის მიზნობრივი სოციალური დახმარებისა, გამოიყურება შემდეგნაირად – დაქირავებით დასაქმებული ყველა ის პირი, რომელმაც კრიზისის პერიოდში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დაკარგა სამსახური, რომელიც ოფიციალურად მუშაობდა და დაკარგა სამსახური, აღარ აქვს სამსახური და ველარ იღებს ხედფასს, მიიღებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან 1200 ლარის ოდენობით ექვსი თვის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველთვიურად ასეთი ადამიანები მიიღებენ 200 ლარს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ამ დახმარების მდგრადობა. ჩვენ გვესმის და მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ვეხმარებით თითოეულ მოქალაქეს 1200 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად 200 ლარის გაცემით“, – განაცხადა პრემიერმა.

ფინანსთა მინისტრის, ივანე მაჭავარიანის განცხადებით, ინდემწარმეები მთავრობის დახმარებას მიიღებენ. ამის შესახებ მან მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ინდემწარმეები, რომლებიც საშემოსავლო დეკლარაციას ავსებდნენ და თანამშრომლად იყვნენ გაფორმებული, დახმარების 6-თვიან პაკეტს

მიიღებენ, თუ გაფორმებუდები არ იყვნენ, მაშინ ერთჯერად დახმარებას მიიღებენ“, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.